

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა
განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი



„გენდერული თანასწორობა“

30 ოქტომბერი- 20 ნოემბერი

2015

თბილისი

პროექტის ზოგადი აღწერა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ორგანიზებით ტარდება პროექტი სახელწოდებით: **გენდერული თანასწორობა**

პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლება აპლიკაციის შედეგად შერჩეულ **საქართველოში აკრედიტირებულ ყველა უნივერსიტეტის** ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

აღნიშნული პროექტი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ელექტრონული აპლიკაციის საფუძველზე შერჩეულ **90 მონაწილეს** ჩაუტარდება ინტენსიური ტრენინგ-სემინარები გენდერის ცნებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, სადაც მონაწილეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას ამ საკითხებთან დაკავშირებით.

პროექტის დასასრულს გაიმართება ფილმის ჩვენება და დისკუსია, სადაც პროექტის მონაწილეებს მიეცემათ ტრენინგ-სემინარების შეჯამებისა და მიღებული ცოდნისა და ახალი იდეების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა . პროექტის თითოეული მონაწილესა და პარტნიორებს გადაეცემათ სერთიფიკატები.

პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია დაგეგმილ ტრენინგებზე სტუდენტებისათვის ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის კუთხით.

ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება.

კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება.

სხვადასხვა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტუდენტთა დაახლოება.

ახალგაზრდული აქტივობების წახალისება.

პროექტის დეტალური აღწერა

პროექტის მიმდინარეობა მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

I ეტაპი (30 ოქტომბერი- 8 ნოემბერი) პროექტის გაპიარება და აპლიკაციების გადარჩევა:

1.პროექტის გაპიარება: პროექტი ჩაეშვება 30 ოქტომბერს. სოციალურ ქსელ Facebook.com-ზე შეიქმნება „ივენი“, ამავდროულად პროექტის ჩატარების შესახებ ინფორმაცია განთავსდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორების ვებ-გვერდებზე, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს პროექტის ჩატარების შესახებ ეცნობებათ მათ პირად გვერდებზე (მაგალითად თსუ-ის სტუდენტებს sms.tsu.ge-ზე)

2.აპლიკაცია: პროექტში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ დარეგისტრირდნენ ელექტრონული აპლიკაციის მეშვეობით. დარეგისტრირების მსურველები რეგისტრირდებიან ინდივიდუალურად. აპლიკაცია იქნება ზოგადი სახის, რომლითაც გაირკვევა მონაწილეთა პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია, გამოცდილება და მოტივაცია. აპლიკაციებს გადაარჩევს პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი. აპლიკაციების ეტაპზე შეირჩევა 90 სტუდენტი.

II ეტაპი (9 ნოემბერი-19 ნოემბერი): ჩატარდება ინტენსიური და მრავლისმომცველი ტრენინგ-სემინარები გენდერის ცნებასა და გენდერულ თანასწორობაზე.

ტრენინგ-სემინარების თემებია:

- ქართული ფემინიზმის ისტორია -ორშაბათი, 9 ნოემბერი
- მითები და რეალობა გენდერულ თანასწორობაზე საქართველოში-ოთხშაბათი, 11 ნოემბერი
- ხელოვნების ისტორიის უხილავი გენდერული მხარე- პარასკევი, 13 ნოემბერი
- გენდერი, შეიარღობითი კონფლიქტი და იძულებითი მიგრაცია-ორშაბათი, 18 ნოემბერი
- გენდერული კვოტა და ქალთა პოლიტიკური ძალაუფლება-ოთხშაბათი, 16 ნოემბერი
- ძალადობა ოჯახში-პარასკევი, 13 ნოემბერი.

(ტრენინგ-სემინარები ჩატარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

III ეტაპი (20 ნოემბერი): გაიმართება ფილმის ჩვენება და დისკუსია. პროექტის მონაწილეებსა და პარტნიორებს გადაეცემათ სერთიფიკატები.

პროექტის ვადები

1. პროექტის ჩაშვება და პიარი- 30 ოქტომბერი-7 ნოემბერი
2. აპლიკაციების გადარჩევა - 8 ნოემბერი
3. ტრენინგ-სემინარების ეტაპი -9-18 ნოემბერი
4. ფილმის ჩვენების, დისკუსიისა და დაჯილდოვების ცერემონიალი - 20 ნოემბერი

პროექტის პარტნიორები (მიმდინარეობს მოლაპარაკება პარტნიორებთან)

1. Css (Center for social sciences)
2. WEFC (Woman in Europe for a common future)
3. 50/50
4. გენდერის კვლევის ინსტიტუტი (თსუ)